დანართი №1

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი“

შეფასების თარიღ(ებ)ი 07-08 ივნისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 21 ივნისი 2022 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი.“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 203840246 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი თბილისი ჭავჭავაძის გამზირი # 17ა |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი ჭავჭავაძის გამზირი # 17ა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საფოსტო ინდექსი | 0179 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http//mermisi.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | mermisischool@yahoo.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2 25 06 12 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | მანანა მალაზონია |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995) 599 55 49 37 |
| ელ-ფოსტა | Malazonia.m@yahoo.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 02 მაისის ბრძანება MES 722 0000437581 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისში“ ვიზიტის შესახებ“. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 07 და 08 ივნისი, 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ირმა ხუციშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეა გაბელაია |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |
| წევრი (სახელი, გვარი) | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ზ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | ხარვეზი |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | - |
| | 1.2 | - |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.1. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | - |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | - |
| ქვესტანდარტი | 2.1. | - |
| | | - |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | - |
| ქვესტანდარტი | 3.2. | - |
| | 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციული, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | - გასათვალისწინებელია, რომ მაძიებელი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი“ აქვთ სტანდარტზევით მომსახურება .კერძოდ: TOEFEL-ის პროგრამა, სასერტიფიკატო კურსი ინგლისურ ენაში. ასევე, სააბიტურო მომსახურეობა, რაც ხორციელდება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სააბიტურო საგნებში და გულისხმობს სრული პროგრამის გავლასა და გამეორებას. ინტელექტუალური თამაშები პირველსა და მეორე კლასებში, რაც გათვლილია კოგნიტური და სოციალური უნარების გასავითარებლად. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს თეატრის სტუდია,რაც უყალიბებს მოსწავლეებს სხვადასხვა შემოქმედებით უნარს, აძლევს თვითგამოვლენისა და თვითდამკვიდრების საშუალებას. მუსიკასთან ერთად შეტანილია დამატებითი საგანი სიმღერა, რაც მოსწავლეებში ავითარებს ესეთეტიკურ და სოციალურ უნარებს. მსოფლიო ხალხთა მითები და ლეგენდები, კურსის მიზანია ეროვნული და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება. სკოლა სთავაზობს, რომ მოსწავლეებმა გაკვეთილები მოამზადონ სკოლაში,რაც ავითარებს სამუშაოს ორგანიზების დამოუკიდებლად მუშაობის უნარს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურეობაში მშობელი არ იხდის დამატებით თანხას. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის“ მისიაა აღზარდოს პატრიოტი, ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიული ღირებულებების მქონე თავისუფალი მოაზროვნე, გონიერი და ახლის შემოქმედი მოქალაქე, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და დამოუკიდებელი უნარ-ჩვევები; ამასთანავე მოსწავლეებმა მიიღონ სრულფასოვანი განათლება სასიამოვნო და კეთილგანწყობილ, მოტივირებულ გარემოში, რათა ინტეგრირდნენ ევროპულ და საერთაშორისო სივრცეში.<br><br>1. საგანთა გაღრმავებულ სწავლება და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის შესაბამისი სასწავლო უნარები;<br><br>2. სოციალური და სააზროვნო უნარ-ჩვევები;<br><br>3. გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 4. განსხვავებული აზრის გამოთქმის თავისუფლება, დამოუკიდებელი აზროვნება, მრავალმხრივი შესაძლებლობების გამოვლენის უნარი;<br><br>5. წიგნიერება, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;<br><br>6. პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი;<br>7. თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარი;<br>8. კონფლიქტების მართვა და ადამიანთა უფლებების დაცვის ვალდებულება;<br>9. თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება;<br>10. პროფესიული ორიენტირების შესაბამისი საქმიანობის წარმართვა და პროფესიული სრულყოფის სურვილი;<br>11. საკუთარი და საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვის სურვილი;<br>12. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო, სოციალური, ფსიქოლოგიური ადაპტირებული გარემო;<br>13. ესთეტიკური გემოვნება და შინაგანი კულტურა;<br>14. ჯანსაღი ცხოვრების წესი;<br>15. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, სამოქალაქო ცნობიერება და პატრიოტიზმი;<br>16. ოჯახის, სახელმწიფოს, საზოგადოების და გარემოს წინაშე უფლება – მოვალეობების განცდა;<br>17. საზოგადოებრივ-სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის და სამოქალაქო თვითშეგნების გამოვლენის სურვილი;<br>18. საკუთარი ქვეყნის კულტურისა და ღირებულებების დაცვის სურვილი;<br>19. საკუთარ სამშობლოს ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილად მოაზრება;<br>20. მსოფლიო კულტურის დაფასების უნარი;<br>21. ცხოვრებაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დამყარებული წესების, ლიბერალური, ტოლერანტული, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების სურვილი. სკოლა ხელმძღვანელობს განათლების კანონით, განათლების ეროვნული მიზნებით, ეროვნული სასწავლო გეგმით, ბავშვთა უფლებების დეკლარაციით და სხვა დემოკრატიული ფასეულობებით, ისწრაფვის ევროინტეგრაციისაკენ.<br>შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი“ მისიას განიხილავს და ამტკიცებს პედსაბჭო. ახალი პრიორიტეტების წარმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია მისიის გადახედვა და კორექტირება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა: 300</td><td>ექსპერტი ეთანხმება<br>☐</td><td>აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტი არ ეთანხმება<br>☒</td><td>სკოლას ავტორიზაციის განაცხადში მითითებული ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 300, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მზაობა გამოთქვა 240 მოსწავლის მიღების შესახებ.</td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „არასახელმწიფო საერო ზოაგდსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისი" წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლაში სწავლობს 195 მოსწავლე. სკოლაში არის 15 ფინანსური კლასი. სკოლას შემუშავებული აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი, 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 01 სექტემბრის N1 პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის" დირექტორის 2021 წლის 02 სექტემბრის N46 ბრძანებით.<br>აღნიშნული სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სკოლის მისია; სკოლის მიზნები და ამოცანები; სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო დღის განრიგი; გაკვეთილების განრიგი; სასწავლო წლის კალენდარი; სასკოლო საათობრივი ბადე; განაყოფები; სასკოლო სახელმძღვანელოები; საგანმანათლებლო რესურსი; მოსწავლის შეფასების სისტემა; ნიშნის გამოყვანის წესი; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; შინ სწავლება; შემაჯამებელი დავალების რაოდენობა; დისტანციური სწავლების ორგანიზება;<br>გაკვეთილებისა და შესვენებების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.<br>I –IV კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება- 35 წთ-ით, ხოლო - შესვენება 10 და 15 წუთით. V-XII კლასებში - გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წთ -ით, ხოლო შესვენება 5 და 10 წუთით. საათობრივი ბადე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილია საგნებში კვირეული დატვირთვის მიხედვით და ასევე გაწერილია საგაკვეთილო ცხრილში. მასში ფიქსირდება, თუ კვირის რომელ დღეს და დროის რომელ მონაკვეთში, რა საგანი ისწავლება. საათობრივ ბადეში აღნიშნულია, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნებიც.<br>არჩევითი საგნები:<br>X კლასი- გეოგრაფიული კვლევა- 1 სთ და კინოხელოვნება - 2 სთ;<br>XI კლასი- სახელმწიფო და ეკონომიკა - 1 სთ;<br>ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ერთი კლასის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური დატვირთვის 25% ანაწილებს სხვასხვა კლასებში.<br>სკოლის საათობრივ ბადეში შეტანილია ცვლილებები:<br>I და IV კლასებში დამატებული აქვს საგანი სიმღერა (2 სთ) და I და I I კლასში ინტელექტუალური თამაშები (2სთ);<br>I -XII კლასებში, გარდა მე-3 კლასისა გაზრდილია პირველი უცხოური ენის (ინგლისური)- საათები;<br>I,IV, VIII და XII კლასში ქართული ენა და ლიტერატურა შემცირებულია, ხოლო X და XI გაზრდილია;<br>V –VI კლასებში შემცირებულია ბუნებისმეტყველების საათი, ხოლო ბიოლოგიის საათი გაზრდილია XI კლასში;<br>VII, VIII და IX კლასში გაზრდილია გეოგრაფიის საათი;<br>VI კლასში გაზრდილია მათემატიკის საათი, ხოლო VII, IX და XI კლასში შემცირებულია.<br>მე-2 უცხო ენის (რუსული ენა ) საათები გაზრდილია III - VI კლასებში, ხოლო XII კლასში შემცირებულია;<br>მე-3 ენად შემოღებულია გერმანული ენა III – IV კლასებში. VIII, IX და X კლასში გაზრდილია ქიმიის საათები.<br>VIII კლასის მე-2 სემესტრში, IX და XI კლასში შემცირებულია ისტორიის საათები.<br>IX და X კლასში შემცირებულია სამოქალაქო განათლების საათები.<br>VIII და IX კლასებში გაზრდილია მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საათები.<br>VII, VIII, IX კლასებში გაზრდილია გეოგრაფიის საათი;<br>IX და XII კლასებში შემცირებულია სპორტის საათი;<br>ასევე მე-3 საფეხურზე შემოღებული აქვთ აბიტურის საათები ფაკულტატურის სახით და შემოღებული აქვთ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ისტის სწავლება VII და VIII კლასებში;<br>მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი - მოიცავს შეფასების მიზნებისა და ამოცანების, შეფასების ტიპების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), ქულების დაანგარიშების წესის, შეფასების კომპონენტების, მათ შორის შემაჯამებელი დავალებების შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა ემთხვევა ესგ-თი განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას. სასკოლო- სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მონაცემები კლასის და საფეხურის დაძლევის შესახებ,<br>სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა,რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან (სადაც განსაკუთრებული აქცენტი ინგლისური ენის სწავლებაზე კეთდება) და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა- დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის N46 ბრძანებით;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 1 სექტემბრის N1 ოქმი;<br>• გაკვეთლების მოქმედი ცხრილი;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან<br>• ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინეულია მათი საჭიროება, ინტერესი. სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა-1.ქართული ენისა და ლიტერატურის 2.უცხო ენების,რასაც მიეკუთვნება ინგლისური, რუსული და გერმანული ენები. 3. მათემატიკის, 4.საბუნებისმეტყველო-ფიზიკა, ქიმია,ბუნებისმეტყველება, 5.საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ინფორმაციული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტექნოლოგიების კათედრას მიეკუთვნება ისტორია, მე და საქართველო, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ისტი 6. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეკუთვნება-მუსიკა,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კინოხელოვნება, ჭადრაკი, ფიზიკური აღზრდა და სპორტი. 7. დაწყებითი საფეხურის აღმზრდელობითი კათედრა. სადამრიგებლო-აღმზრდელობითი პროგრამის მიზანია განსაზღვროს დამრიგებლის მუშაობის ძირითადი პრინციპები---აღზრდის მთლიანობა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა, მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა, თანამშრომლობის პრინციპი, ბავშვის უფლებების და მოვალეობების პრინციპი. სასწავლო პროცესი ხასიათდება მრავალფეროვანი აქტივობებით, ინოვაციური რესურსით. სკოლაში“ დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესი. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვხვდებით საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებს, სადაც განთავსებულია საგნობრივი კურიკულუმი, თემატური მატრიცები, შესრულებული დავალებების ანგარიშები და ანალიზი.<br><br>შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხილულ იქნა მე-7 და 10-ე კლასების გეოგრაფიის, მათემატიკის კომპლექსური დავალებებები და მისი ანალიზის ფორმა - კერძოდ, დავალებაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემების მიხედვით მისაღწევი შედეგები, კომპლექსური დავალების პირობის მოკლე აღწერა და ჩატარების ვადები, კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებების შედეგების გასაუმჯობესებლად დაგეგმილი პრევენციული ნაბიჯები და ა.შ. შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი“ სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა დისციპლინას და გარდა ამისა,დამატებით სტანდარტზევით მომსახურეობას .სასერტიფიკაციო კურსებს ინგლისურ ენაში TOEFEL, გერმანულ ენას ფაკულტატიურის სახით, სრულ სააბიტურო მომსახურეობას, ჭადრაკს, მსოფლიო ხალხთა მითებს და ლეგენდებს, სიმღერას. სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლაში ტარდება საინტერესო გაკვეთილები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. მოსწავლეები თავად ქმნიან სასწავლო რესურსს. მოსწავლეთა სასწავლო შედეგები შესაბამისობაშია ესგ-თი გათვალისწინებულ იმ მიღწევებთან, რომელთაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს კონკრეტულ საგანში ან/და საგნობრივ ჯგუფში სასწავლო წლისა თუ საფეხურის ბოლოს.სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები<br>• კომპლექსური დავალებების ანალიზის ფორმების ამსახველი დოკუმენტაცია.<br>• სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ცხადია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს, რესურსებს. ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. საჭიროების შემთხვევაში გასავითარებელ მიმართულებებზე მუშაობის პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ შეთავაზებულია სტანდარტზევით მომსახურება, კერძოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება, სოციალური, სწავლების გახანგრძლივებული რეჟიმი და სასწავლო ფსიქოლოგიური მომსახურება. ამ მომსახურებით გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და ინტერესები, რაც მათი განვითარების წინაპირობაა.<br>სკოლის დირექტორის 2021 წლის 30 ივლისის N41 დამტკიცებულია შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის“<br>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა, რაც გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლას დღეის მდგომარეობით არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა აღნიშნული პროგრამა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს ასეთი მოსწავლის შემოსვლის შემთხვევაში მისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრების საფუძველზე ცხადია, რომ უზრუნველყოფილია სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეების პირველადი მართვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საგნობრივი კათედრის პორტფოლიო ;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ სკოლის ფსიქოლოგთან: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამასთან აზუსტებს სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს. კერძოდ,1. შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესს,რომლის მიხედვით აღდგენა უნდა მოხდეს მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში. თუმცა, ექსპერტების მიერ მიეცათ რჩევა - შემაჯამებელი წერის აღდგენის ვადად განსაზღვრონ ერთი სემესტრი, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<br>სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. 1-4 კლასებსა და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში შეფასება არ ხორციელდება ქულებით.<br>მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: I-XII საკლასო, საშინაო,შემაჯამებელი-განმავითარებელი შეფასება,<br>Vკლასის II სემესტრი , VI-XII საკლასო განმსაზღვრელი, შემაჯამებელი განმსაზღვრელი, VII-XII საშინაო-განმსაზღვრელი.<br>საკლასო,საშინაო,შემაჯამებელი-განმავითარებელი შეფასება,<br>Vკლასის II სემესტრი , VI-XII საკლასო განმსაზღვრელი, შემაჯამებელი განმსაზღვრელი, VII-XII საშინაო-განმსაზღვრელი. სასწავლო საგნობრივ კათედრებზე ხორციელდება შეფასების რუბრიკების შემუშავება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლები ადასტურებენ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში. შეფასების რუბრიკები სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო სივრცეშია გამოკრული. საგნობრივ კათედრებზე ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი,მოსწავლეების შეფასება ხდება სხვადასხვა აქტივობის საფუძველზე-ესსე,პროექტი, ზეპირი გამოსვლა და ა.შ.<br>ასევე, სასკოლო გეგმა აწესრიგებს საშემოდგომო გამოცდებს. შეფასების შედეგები განიხილება მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებსა და კათედრის სხდომებზე, რის საფუძველზეც ხდება რეკომენდაციების შემუშავება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>• შემაჯამებელი ანალიზის ფორმები.<br>• საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების ანგარიში.<br>• მასწავლებელთა პორტფოლიო.<br>• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს სკოლის მიერ შედგენილი რამდენიმე დოკუმენტი არეგულირებს. კომუნიკაციის ძირითადი სტრატეგია წარმოდგენილია ,,მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში“, რაც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021წლის 27 აპრილის#21 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები და ა.შ. დოკუმენტის თანახმად, სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით. თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს. მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც სკოლის დირექციასთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუცუბილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უნდა შეათანხმოს და ა.შ. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს და დირექტორს. დამრიგებელი ვალდებულია მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების და წარმატებების შესახებ. მშობლები საუბარში ადასტურებენ, რომ ელექტრონული ჟურნალის სკოლაში არსებული პლატფორმა, საშუალებას აძლევთ მათ ყოველდღიურ რეჟიმში გაეცნონ თავიანთი შვილების შესახებ მათთვის საჭირო ინფორმაციას. ასევე, , ZOOM-ისპლატფორმის გამოყენებით ონლაინ ფორმატში, ყოველდღიური კომენტარებით 1-4 კლასებში, ასევე სოციალურ ქსელებში დახურული ჯგუფებისა და ტელეფონის საშუალებით.<br><br>სკოლის შინაგანაწესითაც განსაზღვრულია მშობელთა სკოლაში ვიზიტის დღეები. აღნიშნული რეგულაციები არ ვრცელდება სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, როდესაც კანონიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს განახორციელოს ვიზიტი სკოლაში. სკოლაში მიმდინარე სააღმზრდელო-სასწავლო პროცესის და მასწავლებელთან მუშაობის გამჭირვალობის მიზნით, სკოლაში ხდება მშობლის ჩართვა სასწავლო-სააღრმზრდელო პროცესის ნებისმიერ მიმართულებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება .<br>• შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის“ შინაგანაწესი;<br>• სკოლის სადამრიგებლო (სააღმზრდელო) პროგრამა<br>• ინტერვიუ კლასის დამრიგებლებთან და მშობლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,მერმისში“ შემუშავებულიასასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მიისიდან, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, მორგებულია მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნებზე. ასევე უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებას და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრას. სკოლაში მუდმივად ხდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება ეტაპებისგან: დაგეგმე-განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყება და მისი მიზანი სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და განსაზღვრაა. მონიტორინგის, შეფასება - შემოწმებისა და კონფიდენციალური გამოკითხის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლას შემუშავებული აქვს რეკომენდაციები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც საბოლოოდ, მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას. საგნობრივი კათედრები, ასევე არიან ჩართული ზემოაღნიშნულ პროცესებში, რაც დასტურდება კათედრის სხდომის ამსახველი ოქმებით.<br>მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმაც მოიცავს სწორედ სწავლა-სწავლების ეფექტიანობის გაზრდას, მათ შორის რეკომენდაციების შემუშავებას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას, შემაჯამებელი დავალებების ამსახველ დოკუმენტაციასა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზს.<br>სკოლის შინაგანაწესშიც გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები თავი მე-5 (მუხლი 11), რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებას სხვადასხვა სახის ტესტებით და ღია გაკვეთილების ორგანიზებას.<br>სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაც (2021-2022წ.) არეგულირებს, და ვადების მითითებით განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის“ დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის N51 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.<br>• სკოლის შინაგანაწესი.<br>• სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა.<br>• საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;<br>• ინტერვიუირება სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | - |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | - |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა ,,მერმისი “, საიდენტიფიკაციო კოდი 203840246,მდებარეობს ქალაქ თბილისში ი.ჭავჭავაძის 17ა მდებარე შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შენობის ფართის ოდენობა არის 1523 ,00 კვ.მ., ხოლო სკოლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 195.00 კვ.მ-ს, რომლის მეპატრონე თავად სკოლაა. სკოლა არის ოთხსართულიანი. I, II, III და IV სართულებზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, კლუბი, ექიმის ოთახი, სამასწავლებლო, არქივის ოთახი, კვების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ოთახი, საპირფარეშოები და ფსიქოლოგის ოთახი. სკოლას აგრეთვე აქვს სასწავლო პროცესისათვის გამოყენებადი ნული სართული, რომელიც აზომვით ნახაზზე მონიშნულია, როგორც სარდაფი (271.48 კვ.მ) და განთავსებულია სპორტული დარბაზი 2 გასახდელით. |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 17ა |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 01.14.14.011.003.01.521 |
| კვ.მ. | 1523 ,00 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • საჯარო რეესტრის ამონაწერი;<br>• სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
